

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის დირექტორის

2014 წლის 05 ნოემბრის

79 ბრძანებით

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელში**არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი****მუხლი 1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება**

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

მუხლი 2. უფლებამოსილი ორგანო

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი (შემდეგში-კოლეჯი) შექმნილი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია (შემდეგში-კომისია).

მუხლი 3. წარსადგენი დოკუმენტები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებას უნდა წარუდგინოს:
 - ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიით

პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობისა ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

მუხლი 4. კომისიის შექმნა

1. კომისიის შექმნა და წევრების დანიშვნა ხდება კოლეჯის დირექტორის ბმანებით.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი;

ბ) კოლეჯის დამფუძნებელი;

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დ) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები არ უნდა წარმოადგენდნენ კოლეჯის თანამშრომლებს.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების განხილვის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კომისიის მიერ ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლას (არსებობის შემთხვევაში), გამოცდის ორგანიზებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

2. კომისია ამოწმებს განმცხადებლის მიერ წარდგენილ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება: ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

3. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, ამზადებს დასკვნას (კომისიის სხდომის ოქმის სახით) არაფორმალური განათლების აღიარების ან

აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფაზურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

5. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით განგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

6. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

7. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.